<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:483130 Y:4619548
ავთანდილ იოსელიანის ქ
X:483324 Y:4619167
N
1:3,000

ქ. თბილისის მუნიციპალური
საკრებულოს თავჯდომარეს
გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეთა ჯგუფი შემოდის წინადადებით, რათა დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის, სამშობლოსათვის თავდადებული რაინდის **ავთანდილ იოსელიანის** სახელი.

პატივისცემით

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]

საკონტაქტო პირი [illegible]
მის. ქ. თბილისი, [illegible]
ტ. [illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **Თ/16674319**
თარიღი: **24/05/2023**

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის 2023 წლის 29 მარტის საქმე #19/032308839-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ნაძალადევის რაიონში, რკინიგზის ქუჩის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ავთანდილ იოსელიანის ქუჩა) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123152402**
თარიღი: **01/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 29.05.2023 წლის #03-032314955 (29.05.2023 წ. #14-01231492110-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ავთანდილ იოსელიანი

(1950-1992)

ქართველი გეოფიზიკოსი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი. საქართველოს ეროვნული გმირი (2019)

მისი მშობლები, აბო იოსელიანი და მარიამ გოგიტაშვილი პედაგოგები იყვნენ. ავთანდილ იოსელიანი, თავდაპირველად, მშობლიური სოფლის სკოლაში სწავლობდა, ხოლო მე-3 კლასიდან, სწავლა თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში გააგრძელა. 1968 წელს, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1978 წელს, გეოფიზიკოსის კვალიფიკაციით დაამთავრა. სტუდენტობის დროს მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ავთანდილ იოსელიანმა მუშაობა საქნავთობში, გეოფიზიკურ ექსპედიციაში დაიწყო. 1980-იანი წლების ბოლოს, სამსახური გააგრძელა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს კომპლექსურ გეოლოგიურ გეოფიზიკურ ექსპედიციაში, სხვადასხვა თანამდებობებზე. 1990 წელს დაინიშნა საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის გეოფიზიკური სამმართველოს უფროსად. 1980-იანი წლების ბოლოდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებში. 1992 წლის სექტემბერში, სამსახურიდან შვებულება აიღო და აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, მოხალისედ წავიდა.

ავთანდილ იოსელიანმა, 1992 წლის 26 ოქტომბერს, ქალაქ ოჩამჩირეში, თანამებრძოლების გარემოცვაში, სადაც ტყვედ აყვანილი მოწინააღმდეგეები იმყოფებოდნენ, ხელყუმბარა სხეულით დაფარა და საკუთარი სიცოცხლის ფასად, გარშემო მყოფები სიკვდილს გადაარჩინა. 2019 წლის 17 ნოემბერს, მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

ავთანდილ იოსელიანი ასევე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. მას დარჩა მეუღლე და სამი შვილი. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.